გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№98 (24.978) შაბათი, 10 - 12 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის ახალ ელჩს პაველ ჰერჩინსკის შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს. როგორც აღინიშნა, ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებით დაადასტურა, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირშია. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო ახალ ეტაპს, რომელმაც საქართველო ევროკავშირის წევრობამდე უნდა მიიყვანოს.

* * *

ერთადერთი შანსი, რომ „ნაცმოძრაობა“ სატელიტებთან ერთად ხელისუფლებაში დაბრუნდეს, იქნება მაშინ, როდესაც საარჩევნო ბარიერი მცირდება, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, პარლამენტი შეიძლება, ამ კანონპროექტის განხილვას მომავალ წელს ან 2024 წელს მიუბრუნდეს. „მთავარი დაინტერესებული მხარე ბარიერის შემცირებაში არის „ნაციონალური მოძრაობა“. ჩვენ შეგვიძლია ეს კომპრომისიც განვახორციელოთ „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ, მაგრამ ამის აუცილებელი პირობა პოლარიზაციის ხარისხის შემცირება იქნება,“ - აღნიშნა კობახიძემ.

* * *

პარლამენტმა, მესამე მოსმენით, რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი დაამტკიცა, რომლის საფუძველზეც მომავალი სახალხო დამცველის კანდიდატის წარდგენა და არჩევა ახალი წესითა და პროცედურით მოხდება. კანონპროექტს მხარი კვლავ არ დაუჭირეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“. პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი რეგლამენტის პროექტით, ცვლილებები გარდამავალ დებულებებში აისახა, რაც ნიშნავს, რომ მომავალი სახალხო დამცველს დროებით მოქმედი წესით აირჩევენ.

* * *

ტერორისტული ირანის მხარდაჭერა და მისი სატვირთო ფუნქციის მქონე თვითმფრინავის გატარება, კატასტროფული დარტყმაა ჩვენი ინტერესებისთვის, - ამის შესახებ პარტია „დროას“ ლიდერის ელენე ხოშტარიამ განაცხადა. მისი თქმით, ავიაკომპანია „ირან ეარი“, რომელსაც თვითმფრინავი ეკუთვნოდა, ამერიკის მიერ სანქცირებულია. აღნიშნულს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დეზინფორმაცია უწოდა. ლევან დავითაშვილის თქმით, აღნიშნული კომპანია სანქცირებული არ არის და საქართველოს საჰაერო სივრცე ყველა წესების დაცვით გამოიყენა.

მოამზადა
ია შველიძემ

# ბათუმში რესპირაციული ასოციაციის VII სამედიცინო კონგრესი ჩატარდა

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

*ბათუმი ორი დღის განმავლობაში, რესპირაციული ასოციაციის სამედიცინო კონგრესს მასპინძლობდა. მასში სხვადასხვა ქვეყნის ათასამდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ აღნიშნა, კონგრესის მთავარი თემა იყო კორონავირუსი და სამედიცინო სფეროში „კოვიდ 19“-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემები*

- კონგრესში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, პროფესიონალები. მოგეხსენებათ, რესპირაციული დაავადებები იყო ძირითადი საკითხი პანდემიის პირობებში. ეს დღემდე გამოწვევად რჩება. დიდი ნაწილი დიაგნოსტიკური თუ სამკურნალო რეჟიმებისა, რაც დღეს მოქმედებს, რესპირაციული ასოციაციის მხარდაჭერით არის შექმნილი. ამიტომ ამ პროფესიონალების ჩართულობა და მათი გამოცდილების გაზიარება ჩვენი ექიმებისათვის უმნიშვნელოვანესია. მადლობას ვუხდი ასოციაციას, განსაკუთრებით მის ხელმძღვანელს, ასევე, მოწვეულ დელეგატებს, სპიკერებს, - განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

საქართველოს რესპირაციული ასოციაცია შეიქმნა 2004 წელს. ასოციაციის მიზანია ქვეყანაში რესპირაციული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა.

- საქართველოს რესპირაციული ასოციაციის საერთაშორისო კონგრესები აჭარაში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. სამწუხაროდ, პანდემიამ ხელი შეგვიშალა და 2020 წელს ვერ შევიკრიბეთ. 4-წლიანი პაუზის შემდეგ, წელს კვლავ იმართება კონგრესი. 26 ქვეყნიდან 33 სპიკერი და 952 რეგისტრირებული მონაწილე გვყავს, ვფიქრობთ, რომ ამ სამუშაო დღეების განმავლობაში ჩვენი ექიმები იმ ინფორმაციას მიიღებენ, რაც მათ სჭირდებათ პრაქტიკულ საქმიანობაში. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი თემაა კოვიდი, ვისაუბრებთ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ პრობლემებზე, ვაქცინაციის მნიშვნელობაზე. აუცილებლად გვექნება ცალკე შეფასება დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებაზე სხვადასხვა ქვეყანაში. 6 ქვეყანა წარმოადგენს თავის გამოცდილებას კორონავირუსის მართვის თვალსაზრისით და მათ შორისაა საქართველოც. ვისაუბრებთ ინფექციებზე, ალერგიებზე, ონკოლოგიურ დაავადებებზე, ორი სამუშაო დღის განმავლობაში 83 სიმპოზიუმი გაიმართება. წელს სპეციალურად, უზბეკეთიდან 20 ექიმი ჩამოვიდა ღონისძიებაზე დასასწრებად. ვფიქრობ, ის ტრადიცია, რომელიც დაინერგა წლების განმავლობაში, გვაძლევს შესაძლებლობას, ჩვენმა ექიმებმა მიიღონ ყოველდღიური პრაქტიკული რეკომენდაციები, განათლება, ინფორმაცია, - განაცხადა საქართველოს რესპირაციული ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ივანე ჩხაიძემ.



ასოციაციას დღეისათვის 1050-ზე მეტი წევრი ჰყავს, საქართველოს ყველა რეგიონში აქვს რეგიონული ორგანიზაცია, რეგულარულად უშვებს „საქართველოს რესპირაციულ ჟურნალს“, მის მიერ მომზადებულია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია 14 ეროვნული გაიდლაინი სასუნთქი სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკის და მართვის შესახებ, მათ შორის „კორონავირუსის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში“ და „SARS-CoV-2-თან ასოცირებული მულტისისტემური ანთებითი სინდრომის მართვა ბავშვებში“, მომზადებულია უწყვეტი პროფესიული განვითარების 8 აკრედიტებული ტრენინგი, 2005 წლიდან დღემდე ჩატარებულია 40 რეგიონული კონფერენცია საქართველოს ყველა რეგიონში.



პანდემიის პერიოდში ასოციაცია და მისი რეგიონული სტრუქტურები აქტიურად იყვნენ ჩართული იმუნიზაციის კამპანიაში, მონაწილეობდნენ ჯანდაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და „იუნისეფის“ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

იხ. მე-2 გვ.

## აჭარა, საქართველო ასახელეს 2

## ოპოზიციის ნაწილის სამპუნქტიანი გეგმა, მმართველი პარტიის პასუხი და პოლიტოლოგთა მოსაზრებები 3

## «ზე-კართან» - ლიტერატურაში მოგზაურობის, სიხარულისა და შემეცნების ათწლიანი თავგადასავალი 4

## შეფმზარეული 5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# აჭარა, საქართველო ასახელეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*გუშინ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძე შეხვდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს სამჭიდში, კარატესა და ჭიდაობაში და წარმატება მიულოცეს. ჩვენმა სპორტსმენებმა წელს თავი გამოიჩინეს და სპორტული მიღწევებით აჭარა, მთელი საქართველო ასახელეს. ეს წელი სპორტის სფეროში, მართლაც, უპრეცედენტოდ წარმატებულია*

შეხვედრაზე ისაუბრეს სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობის მნიშვნელობასა და ხელისუფლების მხარდაჭერაზე, რომელიც ყოველ წელს იზრდება. ჭიდაობაში წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად შეხვედრაზე მათი მწვრთნელებიც იმყოფებოდნენ.

აჭარის ჭიდაობის ნაკრების ცამეტმა წევრმა მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ დიეგო ჩხიკვაძე, ლერი აბულაძე, ანრი ხოზრევანიძე, ნიკა ბროლაძე, აჩიკო ბოლქვაძე, თორნიკე მიქელაძე, შმაგი ბოლქვაძე, გელა ბოლქვაძე, რამაზ თურმანიძე, ანრი გოგუაძე, საბა სურმანიძე, ანრი ფუტკარაძე. მათ წარმატებაში ლომის წილი უდევთ პირად მწვრთნელებს მინდია შაინიძეს, მარადი აბულაძეს, უჩა შავაძეს, გოჩა ფარტენაძეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს ამ სფეროებში არსებულ გამოწვევებზე, იმ პროექტებზე, რომლებზეც სამინისტრო, მთავრობა ახორციელებს, ასევე სპორტის ინფრასტრუქტურის, სპორტსმენების, უშუალოდ, მწვრთნელების სამომავლო გეგმების შესახებ.

- ამ მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაოებია უკვე ჩატარებული, რაც აისახა სპორტში ჩართული ადამიანების ზრდის სტატისტიკაზე. დარჩენილი სამუშაოები, რომელიც უახლოეს სამ წელიწადში რეგიონში უნდა განხორციელდეს, ნამდვილად მოგვცემს შესაძლებლობას, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს მასობრივ სპორტში, მეტი პროფესიული სპორტსმენი გვყავდეს და უფრო მაღალი სინჯისა და რაოდენობის მედალი გვქონდეს, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.



იხ. მე-7 გვ.

# მალე მესამე საერთაშორისო გამოფენა – Expo Med Batumi 2022 გაიხსნება

ხატია იაშვილი 555 18 48 88

რამდენიმე დღეში რეგიონი სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-3 საერთაშორისო გამოფენას Expo Med Batumi უმასპინძლებს. გამოფენაზე, რომელიც სამ დღეს გასტანს, 70-მდე ადგილობრივი და უცხოური კომპანია იქნება წარმოდგენილი. ორგანიზატორი კომპანია GEONET EXPO-ა, რომელიც წლის განმავლობაში 4 საერთაშორისო გამოფენას ატარებს.

Expo Med Batumi-ს მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს ახალი კონტაქტების დამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობას.




- გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ერთჯერადი მოხმარების საგნები, სადიაგნოსტიკო აპარატურა, IT სისტემები და სხვა.

Expo Med Batumi-ს ფარგლებში პირველად გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია და B2B შეხვედრები. გამოფენაში მონაწილეობას იღებს 70-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულება.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია, იოგის, პრესოთერაპიის, პირველი დახმარებისა და ჭრილობის გადახვევის მასტერკლასები.

გამოფენის მსვლელობისას გაიმართება სისხლის დონაციის აქცია „გაეცი სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. კონფერენციაზე მოწვეული ექიმები გაგვაცნობენ სამედიცინო სფეროში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებს, ვიზიტიორებს საშუალება ექნებათ, ექიმებს დაუსვან კითხვები და გაიარონ უფასო კონსულტაცია. სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიების, აღჭურვილობის მწარმოებლები ვიზიტიორებს გააცნობენ ინოვაციური ტექნოლოგიების მუშაობის პრინციპს.

უცხოური კომპანიების წარმომადგენლები შეხვდებიან ადგილობრივი კლინიკების ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიების თანამშრომლებს, რადგან საქართველო მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია, სადაც სამომავლოდ სურთ საქმიანობის გაგრძელება, - გვითხრა საგამოფენო კომპანია „GEONET EXPO“-ს აღმასრულებელმა მენეჯერმა მაგდა პაქსაძემ.

საერთაშორისო გამოფენა 16 სექტემბერს სპორტის სასახლეში (ლადო ასათიანის № 27) 12 საათზე გაიხსნება და 18 სექტემბერს დაიხურება. დასწრება თავისუფალია.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია (IIA), თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (MUSUAD), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (GURTIAD), აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

# „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“ – პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*ქალთა ოთახების გაერთიანება „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით და სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“.*



პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახში ჩატარდა. საინფორმაციო შეხვედრას ხელვაჩაურის ქალთა ოთახის მენეჯერები მაგდა მალაყმაძე და ნინო ფაღავა, პროექტის მობილიზატორი ია გელაძე და „ქალთა ოთახების გაერთიანების“ აღმასრულებელი დირექტორი ფატიმა ბოლქვაძე უძღვებოდნენ. დაინტერესებული მხარეები და პოტენციური ბენეფიციარები გაეცნენ პროექტის შესახებ ინფორმაციას და მიიღეს შემდგომი ინსტრუქციები.

ხელვაჩაური ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია, სადაც შეიქმნება სადისკუსიო პლატფორმები. პროექტის ფარგლებში, სოფლად მცხოვრებ ქალებთან სხვადასხვა საკითხზე გაიმართება დისკუსიები, ასევე, შესაძლებელი გახდება სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურება, პრობლემატური საკითხების წინ წამოწევა და მათი მოგვარებისკენ საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

# ჯანდაცვის სფეროში ცვლილებები იგეგმება

ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სხვადასხვა რეფორმას ახორციელებს.

რეფორმებზე მომუშავე შიდა ჯგუფის წევრებმა ჯანდაცვის სფეროში დაგეგმილ ცვლილებებზე იმსჯელეს, განიხილეს ის ახალი სტანდარტები, რაც კლინიკებმა უნდა დააკმაყოფილონ, ისაუბრეს DRG სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესებასა და სამედიცინო პერსონალისთვის მინიმალური ხელფასების განსაზღვრაზე.

წამლის ფასის კიდევ უფრო შემცირების მიზნით მომდევნო წლიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება, რაც ფარმაცევტული პროდუქტის ღირებულებაზე ზედა ზღვრის დაწესებას გულისხმობს.

სამედიცინო პერსონალის ღირსეული ანაზღაურებისთვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ კლინიკებში ახალი სახელფასო სისტემა ამოქმედდება, რაც მინიმალური ხელფასის განსაზღვრას გულისხმობს.

სამედიცინო სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისთვის 2025 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კლინიკებისთვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა სავალდებულო გახდება.

სამინისტრო სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად მუშაობს, რათა უახლოეს მომავალში ანაზღაურების ახალი - DRG სისტემა დაინერგოს. დიაგნოზთან შეჭიდებული ჯგუფების მოდელით (DRG) ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სამინისტრო მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მომდევნო კვირიდან დარგობრივ ასოციაციებთან შეხვედრები დაიწყება და სამინისტროს წარმომადგენლები სფეროში დაგეგმილ ცვლილებებს თემატურ ჯგუფებთან ერთად განიხილავენ.

ანკა ჩხიკვაძე

# ბათუმში რესპირაციული ასოციაციის VII სამედიცინო კონგრესი ჩატარდა

პირველი გვერდიდან

ასოციაცია არის ევროპის რესპირაციულ საზოგადოებათა გაერთიანების (FERS-Forum of European Respiratory Society) წევრი. მედიცინის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს რესპირაციულ ასოციაციას 2009 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიენიჭა პრემია.

ასოციაცია რეგულარულად ატარებს საერთაშორისო კონგრესებს. I კონგრესი ჩატარდა 2007 წელს თბილისში და მასში მსოფლიოს 13 ქვეყანა და 554 დელეგატი მონაწილეობდა. 2007 წლის შემდეგ ყველა კონგრესი ტარდებოდა ბათუმში. II კონგრესი ჩატარდა 2010 წელს (16 ქვეყანა, 857 დელეგატი), III კონგრესი (2013 წელი), ეძღვნებოდა მხოლოდ ასთმას და ალერგიას და მასში მხოლოდ ქართველი და თურქი ექიმები მონაწილეობდნენ. IV კონგრესი ჩატარდა 2014 წელს (18 ქვეყანა, 864 დელეგატი), V - 2016 წელს და მასში 25 ქვეყნის 912 დელეგატი მონაწილეობდა; VI ჩატარდა 2018 წელს და მასში 30 ქვეყნის 1050 დელეგატი მონაწილეობდა. 2018 წლის კონგრესი დელეგატთა და მონაწილე ქვეყნების რაოდენობის მიხედვით განსაკუთრებული მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბითაც.

ეს კონგრესი, ისევე როგორც წინა ხუთი, ორგანიზებული იყო აჭარის მთავრობასთან ერთად და ჩატარდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის პატრონაჟით, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერიის აქტიური მხარდაჭერით.

კონგრესის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ქართველი სპიკერების უმრავლესობაც სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ.

სპიკერთა და დელეგატთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს კონგრესი ერთ-ერთი გამორჩეული იყო როგორც საქართველოში, ისე მთელ რეგიონში. ამასთან, ეს იყო პირველი მასშტაბური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიმართა.

ქრონიკა 101

№98 (25.978) შაბათი, 10-12.09.2022



# ოპოზიციის ნაწილის სამპუნქტიანი გეგმა, მმართველი პარტიის პასუხი და პოლიტოლოგთა მოსაზრებები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*წერილს პუბლიცისტ აკაკი ბაქრაძის ციტირებით დავიწყებ, რომელიც დღესაც აქტუალურია: „სიძულვილი და მტრობა ყველას შეუძლია, ამას ნიჭი არ სჭირდება, სიყვარული კი სულით ამაღლებულთ ხელეწიფებათ. იგი ღვთაებრივ უნარს ითხოვს“. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებს ვერ მოვთხოვთ უპირობო სიყვარულს, თუმცა ნამდვილად მოეთხოვებათ ეთიკური ნორმების დაცვა: რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ, თანაბრად მნიშვნელოვანია, კამათი შეიძლება ისე, რომ არცერთი მხარე არ დარჩეს შეურაცხყოფილი. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ მხრივ საპირისპიროდ იქცევა, რაც ქვეყანას ყოველმხრივ აზარალებს*

თანამედროვე ადამიანებს, ცხადია, გვაქვს მოთხოვნილება, ვიცხოვროთ ჰარმონიულ საზოგადოებაში, სადაც არა მხოლოდ დაცული იქნება ადამიანის უფლებები, არამედ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას ქვეყნის წინაშე. განსაკუთრებული როლი ენიჭება ოპოზიციას, როგორც საზოგადოების ყურადღების ასამაღლებელ მძლავრ ინსტრუმენტს, თუმცა ამ კუთხით ჯერჯერობით არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა, ამიტომაც



რდება, ამ კუთხით არსებულ (და ასევე ყოფილს) ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებთ. უკრაინასთან ომით კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა რუსეთის რეალური სახე, რომელსაც სურს ახალი იმპერიის აღდგენა, რასაც დასავლეთი და მეტ-ნაკლებად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც ეწინააღმდეგებიან.

თუ ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა სურს, უნდა შეძლოს არა მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკა, არამედ რეალური პროგრამები და გეგმები უნდა შესთავაზოს ამომრჩეველს ქვეყნის განვითარების კუთხით. გარდა ამისა, ოპოზიცია უნდა განახლდეს, ზოგიერთი პოლიტიკოსი ქვეყანაში მეოთხედი საუკუნეა ნავარდობს და, როგორც ჩანს, პოლიტიკაში ახალი სა-

ყოველი არჩევნების მოახლოებისას იქმნებოდა ისეთი სურათი, თითქოს შესაძლებელი იყო მესამე ძალის ჩამოყალიბება, რომელიც არჩევნებში კონკურენციას გაუწევდა არსებულ და ყოფილ მმართველ გუნდებს. არც საპარლამენტო და არც ადგილობრივმა არჩევნებმა ამ მხრივ მოლოდინი არ გაამართლა. საყურადღებო და გასათვალისწინებელია პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის შეხედულება ქართულ პოლიტიკაზე. მისი თქმით, საქართველოსნაირი უიღბლო ქვეყანა იშვიათია: „ასეთი, სრულიად ინდიფერენტული ქართული პოლიტიკური სივრცის მიმართ 32 წელი არ ვყოფილვარ: არც ახალ სიტყვას, არც ახალ ენერგიას, არც ახალ სათქმელს და არც ქმედებას ველი... ცარიელ ადგილად იქცა ქართული პოლიტიკა ჩემთვის, ისევე, როგორც ჩემზე ადრე, საქართველოს ასიათასობით მოქალაქისთვის და ახლა სრულიად გასაგებია, რატომ არსებობენ ერთმანეთს რადიკალურად აცდენილი პოლიტიკოსები და დანარჩენი საქართველო... დღეს, როცა მსოფლიო დუღს ახალი წესრიგის ძიებაში, საქართველოსნაირი უიღბლო ქვეყანა იშვიათია... ანალოგიური შეხედულებისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „კარგი იქნება, ოპოზიციურ სპექტრში წარმოდგენილი ძალები თავისი ღირებულებების, საშინაო და

> *„დღევანდელი არასახარბიელო ვითარების ერთ-ერთი მიზეზი პოლიტელიტის არგანახლებაა. ეს საკითხი ყველაზე სერიოზული პრობლემაა საქართველოში. ამას ხელს უწყობს საკმაოდ ბევრი ფაქტორი: უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ საქართველოს არ ჰყავს ისეთი მმართველი ელიტა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტასაც, ასევე გავლენიან ჯგუფებსაც. ჩვენ მხოლოდ გავლენიან პიროვნებებზე ორიენტირებული საზოგადოება ვართ, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის ქვეყანაში პოლიტიკური ელიტის განახლების თვალსაზრისით*

ხშირად ისმის კითხვა - რას წარმოადგენს დღეს ოპოზიცია და საერთოდ, რაში უნდა გამოიხატებოდეს კონსტრუქციული ოპონირება? ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობას“ არ აქვს მორალური უფლება, აკრიტიკოს მთავრობა, რადგან მათ ბევრი უმსგავსობა აქვთ ჩადენილი, მმართველი გუნდის წევრთა თქმით, ისინი ისურვებდნენ კონსტრუქციულ ოპოზიციას, რომელიც ხელისუფლებას დასაბუთებულ შენიშვნებს და რჩევებს მისცემს, თუმცა რამდენად მართებულია ხელისუფლების ამგვარი შეხედულება, ეს ცალკე განსჯის საკითხია. ცნობილია, რომ ოპოზიცია ხელოვნურად არ იქმნება, მას გარემოება ქმნის, ხელოვნური, შეკოწიწებული ოპოზიცია არც საზოგადოებას და არც ქვეყანას გამოადგება. იმის ნაცვლად, რომ სოციალური პრობლემების მოგვარებაზე მსჯელობდნენ, სულ გვესმის ურთიერთბრალდებები „სისხლიანი 9 წელი“ და „კოლაბორაციონისტული 10 წელი“. საერთოდ, ოპოზიცია და მმართველი პარტია რომ ერთურთს აკრიტიკებენ და სალანძღავი სიტყვებით ამკობენ, გასაკვირი როდია, გაუგებარი ისაა, ოპოზიცია ერთმანეთს რომ აყენებს შეურაცხყოფას და ხშირად მათი პაექრობა ჩხუბში გადადის. ეს უკვე საგანგაშოა. აი, რატომაა, რომ მათივე ამომრჩეველი იმედგაცრუებულია ოპოზიციის საქმიანობით, რასაც გამოხატავენ არჩევნების ბოიკოტირებით. განვლილი ადგილობრივი არჩევნები ამის თვალსაჩინო მაგალითია, რომელშიც მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი მონაწილეობდა...

პირდაპირ უნდა ვთქვათ, თითქმის ერთი წელია, ოპოზიცია დამბლადაცემულია, პრაქტიკულად, მოსახლეობის იმპულსს ვერ გრძნობს, გადაიქცა სატელევიზიო ოპოზიციად, დაქსაქსულია და ენერგიას არ იშურებს ქიშპობისთვის, არც ჩხუბს ერიდება. ამას წინათ „ტვ პირველის“ თოქშოუში იჩხუბეს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პარლამენტარმა პაატა მანჯგალაძემ და „ლეიბორისტული“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ. მიზეზი - ამ უკანასკნელმა „სტრატეგია აღმაშენებელს“ ფსევდოოპოზიცია უწოდა... მსგავს ეპითეტებს (საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ) არ იშურებს „ლეიბორისტთა“ ლიდერი შალვა ნათელაშვილიც. მოკლედ, ყელში ამოუვიდა პარლამენტარ მანჯგალაძეს და, როგორც გითხარით, გუგავას ეჩხუბა... ამაზრზენი საყურებელი იყო პოლიტიკოსთა ამგვარი საქციელი. არც სხვა ოპოზიციონერები აკლებენ ერთმანეთს ლანძღვა-გინებასა და გაწევ-გამოწევას. რაღა გასაკვირია, რომ მათი რეიტინგი განულებულია, რაც არ ნიშნავს, რომ მოსახლეობა ხელისუფლების საქმიანობითაა კმაყოფილი. არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობისა და ასევე დეოკუპაციის საკითხის მოუგვარებლობის გამოც მოქალაქეები არც მმართველ გუნდს ემადლიერებიან. თუმცა დეოკუპაციას ზესახელმწიფოთა თანადგომა სჭი-

ხეების გამოჩენით არაა დაინტერესებული. დღევანდელი არასახარბიელო ვითარების ერთ-ერთი მიზეზი პოლიტელიტის არგანახლებაა. ეს საკითხი ყველაზე სერიოზული პრობლემაა საქართველოში. ამას ხელს უწყობს საკმაოდ ბევრი ფაქტორი: უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ საქართველოს არ ჰყავს ისეთი მმართველი ელიტა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტასაც, ასევე გავლენიან ჯგუფებსაც. ჩვენ მხოლოდ გავლენიან პიროვნებებზე ორიენტირებული საზოგადოება ვართ, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის ქვეყანაში პოლიტიკური ელიტის განახლების თვალსაზრისით. თითქმის 25 წელია, პოლიტიკური სახეები არ იცვლებიან. ზოგიერთი ლიდერი პარტიის თავმჯდომარეობას ვერ ელევა. მაგალითად, 20 წელია, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერია შალვა ნათელაშვილი, რომელიც ამბობს, რომ ჯერჯერობით შეუცვლელია და იმასაც ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ოპოზიცია მხოლოდ „ლეიბორისტული პარტიაა“, სხვა დანარჩენი კი კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს... „ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა ამ პარტიას დაახლოებით 15 წელია ხელმძღვანელობს. ანალოგიური სურათია დანარჩენ პარტიებშიც. მეტ-ნაკლებად განახლდა მმართველი პარტია და „ნაცმოძრაობა“, თუმცა, ზოგიერთის აზრით, მათი განახლება ფასადურია... სხვათა შორის, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ერთადერთია, რომელიც დასავლური პარტიის მსგავსად იქცევა, ანუ ახალ ლიდერს ირჩევენ. ამ პარტიის ლიდერი ზურა ჯაფარიძეა. სხვა პარტიები რატომღაც არ ცდილობენ, ახალი სახეების პოლიტიკაში ჩაბმას, ამიტომაც პარტიის ლიდერებში კვლავ სჭარბობს ბოლშევიკური სულისკვეთება, ვერ ეგუებიან განსხვავებულ აზრს, რაც სამწუხაროა და იმას ნიშნავს, რომ არ აქვთ გაცნობიერებული ქვეყნის მომავალი როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. არადა, დასავლეთში, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში ერთ პიროვნებას პარტიის თავმჯდომარის პოსტი დაახლოებით რვა წლამდე შეიძლება ეკავოს, შემდეგ გზა უნდა დაუთმოს სხვას, ხოლო თუ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა, უმალ ტოვებს პარტიის ხელმძღვანელის პოსტს და მის ადგილს სხვა პოლიტიკოსი იკავებს, ხოლო ახალი ლიდერი კვლავ ცდილობს, მთავრობას დანაპირები შეასრულებინოს. გარდა ამისა, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გარემოება: დასავლეთში პარტიის ლიდერებს არა პარტიული ელიტა, არამედ მთელი პარტია ირჩევს. ფორმალურად, რა თქმა უნდა, ჩვენთანაც იცავენ დადგენილ წესებს, მაგრამ რეალურად ლიდერს პარტიის ელიტაში ირჩევენ. დასავლეთში ამომრჩევლის აზრსაც ითვალისწინებენ. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეები თითქმის არ ჩანს. არადა,

საგარეო პოლიტიკის კურსის მხრივ თუ ჩამოყალიბდებიან და ამ ღირებულებების მიხედვით გაერთიანდებიან, მაგრამ ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ბლოკები კარგად არ მუშაობს, რაც ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს და შესაბამისად იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ წაგებულნი დარჩებიან“... ისიც ცხადია, რომ არც მმართველი პარტია და „ნაცმოძრაობაა“ დაინტერესებული, რომ ქვეყანაში შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც კონკურენციას გაუწევს მათ. ამ მიმართებით აქტიურობს გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელო - საქართველოსთვის“. ეს ბრძოლა უახლოეს მომავალში თვალნათელი იქნება, ისინი არა მხოლოდ მესამე ძალის ცენტრისთვის იაქტიურებენ, არამედ მთავარ ოპოზიციურ ძალაზეც განაცხადებენ პრეტენზიას, მით უმეტეს, თუ სააკაშვილი გაეცლება ქართულ პოლიტიკას. დასამალი არაა, რომ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგმა იკლო იმ ფაქტორით, რომ მათ ვერ დაიხსნეს საპატიმროდან ყოფილი პრეზიდენტი და ვერც მძლავრი საპროტესტო მუხტი გააღვივეს მოსახლეობაში. ბოროტი ენები ამბობენ, რომ სააკაშვილი განაწყენებულია თანაგუნდელებზე... სწორედ ამაზე საუბრობს შალვა ნათელაშვილი, მისი თქმით, „ნაცმოძრაობამ“ პრაქტიკულად მიატოვა სააკაშვილი და მოუწოდა საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ, ამ მხრივ მან ოპოზიციას ახალი სამპუნქტიანი გეგმა წარუდგინა: „ოპოზიციამ დატოვოს პარლამენტი, ხალხი გამოვიდეს ქუჩაში და შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი“. თავის მხრივ, „ნაცმოძრაობამ“ ნათელაშვილის გეგმა პრაქტიკულად გაიზიარა და ისიც აღნიშნეს, რომ უნდა გაიმართოს რიგგარეშე არჩევნები. ცხადია, მმართველმა პარტიამ უარყო ოპოზიციის მოთხოვნა და მათ დესტრუქციული ძალა უწოდეს. მათი თქმით, არჩევნები, როგორც დადგენილია, 2024 წელს გაიმართება. დიდად არც სხვა პარტიები აქტიურობენ ამ მიმართულებით.

რა იქნება ხვალ? მოვლენები კალეიდოსკოპურად იცვლება. როგორც ცნობილია, საქართველოში პოლიტიკური ვითარება შემოდგომაზე ყოველთვის დაძაბული და საინტერესოა, ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლებისგან 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თქმით, საქართველო დაშორდება დასავლეთს. თავის მხრივ, მმართველი პარტია აცხადებს, რომ საქართველოს არჩევანი იყო და იქნება ევროსტრუქტურებში გაერთიანება. იმედია, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოქმნილი უთანხმოება მძაფრ დაპირისპირებას არ გამოიწვევს, ყველა იმ გაერთიანებას მივესალმებით, რომლის ლაიტმოტივი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობა და ბედნიერი აწმყოა.

## უცხოეთი

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ტახტზე 70 წლის წინ - 1952 წელს ავიდა და ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად ატარა მონარქის ტიტული. ელისაბედ II გაერთიანებული სამეფოს გარდა კიდევ 14 დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მათ შორის კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მეთაური იყო. დიდ ბრიტანეთში დედოფლის დაკრძალვამდე გლოვაა გამოცხადებული. გაერთიანებული სამეფოს სათავეში მეფე ჩარლზ III ჩაუდგა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინისთვის დამატებით 675 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების დახმარება დაამტკიცა, - ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა გერმანიაში, შეერთებული შტატების „რამშტეინის“ ავიაბაზაზე მოკავშირე ქვეყნების მაღალჩინოსნებთან შეხვედრის დასაწყისში განაცხადა. მისი თქმით, დახმარების უახლესი პაკეტი მოიცავს ჰაუბიცებს, საარტილერიო საბრძოლო მასალებს, მაღალი მობილობის მრავალფუნქციურ ბორბლიან მანქანებს, ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს და სხვა. ოსტინმა განაცხადა, რომ ომში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია - უკრაინული ძალები იწყებენ კონტრშეტევას ქვეყნის სამხრეთით.

* * *

ევროკავშირის საბჭომ გუშინ დაამტკიცა გადაწყვეტილება რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის სრულად შეჩერების შესახებ, - ინფორმაციას ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახური ავრცელებს. მათი განმარტებით, ეს ნიშნავს, რომ რუსეთის მოქალაქეებზე ევროკავშირის სავიზო კოდექსის ზოგადი წესები გავრცელდება. „ეს გამოიწვევს სავიზო განაცხადის საფასურის გაზრდას 35 ევროდან 80 ევრომდე, დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის საჭიროებას, ვიზის განხილვის დროის გაზრდას და მრავალჯერადი ვიზების გაცემის უფრო შემზღუდველ წესებს“, - აცხადებენ ევროკავშირის საბჭოში. გადაწყვეტილება 12 სექტემბრიდან ამოქმედდება.

* * *

აზერბაიჯანმა სომხეთს 5 ჯარისკაცი გადასცა. აზერბაიჯანული მხარის განმარტებით, გათავისუფლება მოხდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შორის ბრიუსელში 31 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე მიღწეული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. „მივესალმები ბაქოს მიერ კიდევ ხუთი დაკავებული სომხის გათავისუფლებას ბრიუსელში 31 აგვისტოს გამართული განხილვის შემდეგ, - დაწერა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა „ტვიტერზე“.

* * *

ვლადიმირ პუტინი დასავლეთს ენერგორესურსების მიწოდების შეწყვეტით დაემუქრა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა კი განაცხადა, რომ ევროკომისია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს რუსულ გაზზე ფასის შეზღუდვას შესთავაზებს. „ჩვენ უბრალოდ არ შევასრულებთ ამას. ევროპას არაფერს მივაწოდებთ, თუ ეს ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. არ მივაწვდით არც გაზს, არც ნავთობს, არც ნახშირს, არც მაზუთს - არაფერს მივაწვდით“, - აღნიშნა პუტინმა.

მოამზადა
ია შველიძე

# „ზე-კართან" – ლიტერატურაში მოგზაურობის, სიხარულისა და შემეცნების ათწლიანი თავგადასავალი

წელს, 23-26 სექტემბერს საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან" მეათედ გაიმართება. ჩვენი გაზეთი იმთავითვე გულშემატკივრობდა ამ საინტერესო წამოწყებას, ფესტივალს, რომელიც, მართლაც, იქცა ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად. საფესტივალო დღეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მწერლების ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ყოველ წელს იქმნება ამ ლიტერატურული ფორუმის ფარგლებში, ისტორიაში დარჩება და თაობებს მოუთხრობს ჩვენი დროის ულამაზესი და თავისთავადობით გამორჩეული მთიანი აჭარის შესახებ. ამიტომ „აჭარა" ყოველთვის დარჩება მის მხარდამჭერად, რისი კიდევ ერთი გამოხატულებაც ფესტივალის „ზე-კართან" იდეის ავტორსა და დირექტორ **ვახტანგ ბერიძესთან** დღევანდელი ინტერვიუა.




**- ვინაიდან ფესტივალის საიუბილეო სეზონი იწყება, მოდი, დავიწყოთ თავიდან და გავიხსენოთ, რატომ დაარქვი „ზე-კართან" - ძალიან საინტერესო და ლამაზი სახელწოდებაა.**

- „ზე-კართან" ეს ამაღლებული და სიმბოლური სიტყვა, მხატვრულ-სტილისტიკური მიგნებაა, რაც პოეტურად, ასოციაციურად გვაკავშირებს ამაღლებულთან. ზე-კართან - იგულისხმება ადგილი, სადაც ზენაარის კარი იხსნება და ადამიანი უკავშირდება ღმერთს. მეტაფორულ დატვირთვასთან ერთად ერთგვარი მისტიკაც იგულისხმება ამ სახელწოდებაში. ვერავინ ვერ ახსნის იმ პროცესს, როცა ადამიანის სულში, სისხლში, გონებაში, ფიქრებში წარმოიქმნება შემოქმედება, რომელიც მერე მწერლის შემთხვევაში გადმოდის ფურცელზე. ზე-კართან არის დაბადებისა და განვრცობის ადგილი. უამრავი იდეა, აზრი დაიბადა და შემდეგ განევრცო ფესტივალის მსვლელობის პროცესშიც. შემოქმედებითთან ერთად ბრენდულიც გახდა ეს სახელწოდება - როცა ვინმე არასაფესტივალო პერიოდში წარმოთქვამს ამ სიტყვას - „ზე-კართან", იგი გულისხმობს ათწლიან თავგადასავალს, მოგზაურობას, შემეცნებას, სიხარულს, რომელსაც გავდივართ მთიან აჭარაში...

**- ისიც გავიხსენოთ, როგორ დაიბადა ფესტივალის დაარსების იდეა.**

- არც ისე დიდი ხანია, რაც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, მრავალსაუკუნოვანი კულტურის მიუხედავად ბევრ რამეს ჯერაც ვსწავლობთ. საფესტივალო ღონისძიებების კულტურაც ახლა ყალიბდება ჩვენთან. მართალია, არაერთი საინტერესო ფესტივალი დაარსდა, მაგრამ მაინც არცთუ ისე ბევრი და მრავლფეროვანი ფესტივალი გვაქვს ქვეყანაში... 2013 წელს დავიწყე შუახევში სხვადასხვა შინაარსის ხელოვნების საღამოების ჩატარება პირველივე მცდელობისას ვიგრძენი საზოგადოებისგან კულტურული ღონისძიებების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი, საჭიროება და ეს გახდა ფესტივალის დაარსების ინსპირაცია. ზოგადად, ერთი კონკრეტული თემა, შთაგონება და განწყობა არ კმარა მნიშვნელოვანი იდეის დაბადებისთვის. მასში ბევრი რამ იყრის თავს და საბოლოოდ, ადამიანს გაიძულებს, გაბედო და დაიწყო.... ჩვენც 2013 წელს დავიწყეთ და ასე შეუჩერებლად ვმოგზაურობთ, ვაგროვებთ ამბებს....

**- თავიდანვე ასეთად გქონდა წარმოდგენილი თუ გზადაგზა მეტამორფოზა განიცადა შენმა ჩანაფიქრმა?**

- ფესტივალი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იზრდება, იხვეწება და ვითარდება. იმ აზრს, რომ აქ საუბარი მხოლოდ ხელოვნებაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე, სამშობლოს დღევანდელობასა და მომავალზე უნდა იყოს და პოლიტიკა არ გახდეს დისკუსიის მიზეზი, ყველანი პატივს ვცემთ, ხოლო ფორმის თვალსაზრისით, სულ იცვლება. იდეის ხორშესხმას მოჰყვება ხოლმე დადებითი და უარყოფითი მხარეები. არსებობს იდეა, რომელიც ერს, ხალხს, საზოგადოებას, თემს ორად ან მეტად ყოფს და არის იდეა, რომელსაც შეუძლია ადამიანების გაერთიანება. ჩვენს ფესტივალში განსხვავებული და კრიტიკული აზრის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების მწერლები და მოაზროვნეები ამბობენ თავიანთ სათქმელს. ეს არის დემოკრატიული და თავისუფლებით სავსე პლატფორმა, რაც, ვფიქრობ, გვაერთიანებს.

**- რას თვლი ამ ფესტივალის მთავარ მიღწევად?**

- რამდენიმეს ჩამოთვლა შემიძლია: ქართველი ლიტერატორების აჭარით დაინტერესება, ქართულ ლიტერატურაში გაჩენილი ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ფესტივალითაა შთაგონებული და ეძღვნება აჭარას, აჭარლებს, აქაურ ამბებს, რომლებიც ოთხ ქართულ და ერთ ქართულ-იტალიურ წიგნს მოიცავს; ჩვენს ფესტივალზე შეიქმნა ასევე, 23-ზე მეტი ვიდეო რგოლი, 5 დოკუმენტური ფილმი, გაიმართა 35 ლიტერატურული საღამო, 23 ფოლკლორული კონცერტი, სამი ლიტერატურული სპექტაკლი, 20 საჯარო ლექცია. თუ წარმოვიდგენთ, რამდენი ემოცია, სიხარული, შთაბეჭდილება, შემოქმედ ადამიანთა შეხვედრებით გამოწვეული ბედნიერება იმალება ამ მშრალი ციფრების მიღმა, მივხდებით, რამდენად ფასეულია „ზე-კართან", რომელსაც მხარდაჭერა და განვითარება სჭირდება.

**- შენი აზრით, კიდევ როგორ და რამდენად შეიძლება განვითარდეს „ზე-კართან"?**

- წინა წლების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სასტუმრო და მომსახურების სფერო მთიან აჭარაშიც ვითარდება, რაც პირდაპირ კავშირშია კულტურული ღონისძიებების და ახალი ინიციატივების დანერგვა/განვითარებასთან. ჩემი სურვილია და აქეთ მივდივართ კიდეც, რომ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან" იქცეს ევროპაში ყველაზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ლიტერატურლ ფესტივალად, სადაც ქართულთან ერთად სხვადსხვა ქვეყნის ლიტერატურული მიმდინარეობების გაცნობის საშუალება ექნებათ არა მარტო მთაში მცხოვრებ ლიტერატურის მოყვარულთ, არამედ, ქალაქელებსაც, რომლებიც ოჯახებთან ერთად შაბათ-კვირას სასიამოვნო და საინტერესო გარემოში გაატარებენ, აქ ქართველი და უცხოელი ავტორები, გამომცემლები გაცვლიან ინფორმაციას და დაიწყებენ თანამშრომლობას. ფესტივალზე ჩამოსული მეტი მწერალი აჭარაზე, აქაურ წეს-ჩვეულებებზე, მეტი ნაწარმოების შექმნას ნიშნავს, რაც თავის მხრივ, ვიზიტიორებსა და მოგზაურებში ინტერესს აღვიძებს, რომ თავისი თვალით ნახონ მწერლის ფანტაზიისა და რეალური შთაბეჭდილებების ნაყოფი.

**- რა არის ყველაზე რთული ფესტივალის მომზადებისას ან მისი მსვლელობის დროს?**

- ყველაზე რთულად ის მიმაჩნია, რომ მიუხედავად ამდენი წარმატებული საფესტივალო წლისა, ყოველ ჯერზე თითქმის თავიდან ვიწყებთ პროექტის მნიშვნელობისა და მისი ფასეულობის ახსნას. როგორც ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორანტს, კარგად მესმის, რომ კულტურული ღონისძიებების დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება არ უნდა იყოს, მაგრამ იგივე სახელმწიფო არ იღებს კანონს, რომელიც ბიზნესს მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერის მოტივაციას გაუჩენს. არსებობს ასეთი კანონპროექტი - „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ", რომლის მიღებაც ბევრ ხელოვანს წაადგებოდა. დიდი ნერვიულობისა და დაძაბულობის ფონზე არ უნდა გიწევდეს ეროვნული საქმის კეთება... თუმცა, მადლობა ღმერთს, ბოლო რამდენიმე წელია, შეიცვალა დამოკიდებულება და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მხარს გვიჭერს, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ფესტივალის გეოგრაფიასთან ერთად მისი ბიოგრაფიაც გავზარდოთ. ასევე მხარდაჭერა გვაქვს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებისგან. ორგანიზატორებს, საფესტივალო ღონისძიებების დაგეგმვით დაწყებული, მრავალი მნიშვნელოვანი ეტაპის გავლა გვიწევს. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ გამოცდილება და ცოდნა იძლევა ყველა სირთულის გადალახვის. საშუალებას.

**- ამ ფესტივალს სხვა საინტერესო იდეაც ხომ არ მოჰყოლია, ანუ მისი მსვლელობისას რაიმე წამოწყებას ხომ არ ჩაყრია საფუძველი, ან ხომ არ აპირებთ?**

- მოგეხსენებათ, ლიტერატურასა და თეატრს შორის რა მჭიდრო კავშირიც არსებობს. 2014 წელს ჩემივე იდეით წამოვიწყეთ ახალი პროექტი - „თეატრი ბორბლებზე", რაც გულისხმობდა მთიან მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა თეატრის მსახიობებისგან შემდგარი ჯგუფით სპექტაკლების დადგმასა და იქაურ სოფლებში ჩვენებას. ბევრი თვალსაზრისით საინტერესო იყო ეს ჩანაფიქრიც, თუმცა სათანადო მხადაჭერის არარსებობის გამო შევჩერდით.

**- რა ცვლილებებია წლევანდელ ფესტივალში და რით იქნება იგი გამორჩეული წინა სეზონებისგან?**

- ფესტივალის ფორმატი შეიცვალა, ღონისძიებები უფრო თემატური გახდა, თითოეულ მოწვეულ მწერალს აქვს თავისი დავალება. წლევანდელი ფესტივალის თემაა „ომი და მშვიდობა". მოგეხსენებათ, ყველა ომს აქვს თავისი გავლენა საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე. ჩვენ გვახსოვს გასული საუკუნის ომის გავლენა ქართულ ხელოვნებაზე, მათ შორის მწერლობაზე... გამოქვაბულის პერიოდიდან, ადამიანის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. მრავალი საუკუნეა სიზიფესავით მიაგორებს ლოდს აღმართში, რასაც ერთი შეხედვით აღმასვლაც ქვია, თუმცა ყოველი ნაბიჯის გადადგმა უდიდესი ძალისა და ტანჯვის ხარჯზე უხდება. ახალი არაფერია, ყოველი საუკუნის დასაწყისი ასოცირდება ეპიდემიებთან, ომებთან, ძალთა ახალ გადანაწილებასთან, ადამიანების ფიზიკურ და სულიერ მოკვდინებასთან და მილეწ-მოლეწილის თავიდან დაწყებასთან. სულ, ეს არის ჩვენი კულტურა, გაუთავებელი ცნობისმოყვარეობა და „დენთით" თამაში. ამიტომ მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ჩვენს ფესტივალზე ამ თემის აქტუალიზაცია. რაც შეეხება პროგრამას, იგი ტრადიციულად მრავალფეროვანია, მოიცავს ლიტერატურულ საღამოებს, საჯარო ლექციებს, წიგნის გამოფენა-გაყიდვას. შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ორი დღის განმავლობაში ათი გამომცემელი თავიანთ გამოცემებს გამოფენს. მთის მაცხოვრებლები შეძლებენ, გაიმდიდრონ ბიბლიოთეკა. ფესტივალის ფარგლებში აჭარის მკვიდრთ, ქართული კინოს მოყვარულებს საშუალება ექნებათ, ხულოს დრამატულ თეატრში ნახონ ბესო სოლომონაშვილის ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში". ვფიქრობ, საინტერესო და საქმეზე ორიენტირებული პროგრამა გვაქვს, რითაც ფესტივალის სტუმრებს, მაყურებელს, მკითხველს გავახარებთ.

**- გაიხსენებ საინტერესო მომენტებს საფესტივალო დღეებიდან?**

- ჩვენი ფესტივალის მთავარი და ემოციური ნაწილი უკავშირდება მწერლებს, ადამიანებს, რომლებიც დღეს ჩვენ გვერდით ქმნიან ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ვინ იცის, რამდენია მათგან მომავლის ლიტერატურა, რამდენი გაუძლებს დროს... ამიტომ გულწრფელად და გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მათ გვერდით გატარებული არცერთი წამი არ არის უინტერესო. თქვენს მკითხველს ვურჩევდი, გაიზიაროს ჩემი რჩევა და მოვიდეს საფესტივალო ღონისძიებებზე. ეს არის შესაძლებლობა, რამდენიმე დღით გაექცეთ საკუთარ თავს, ირგვლივ არსებულ დაძაბულ ატმოსფეროს და სულიერებისა და ხელოვნების სამყაროში გადაეშვათ.

*„ჩემი სურვილია და აქეთ მივდივართ კიდეც, რომ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან" იქცეს ევროპაში ყველაზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ლიტერატურლ ფესტივალად, სადაც ქართულთან ერთად სხვადსხვა ქვეყნის ლიტერატურული მიმდინარეობების გაცნობის საშუალება ექნებათ არა მარტო მთაში მცხოვრებ ლიტერატურის მოყვარულთ, არამედ, ქალაქელებსაც, რომლებიც ოჯახებთან ერთად შაბათ-კვირას სასიამოვნო და საინტერესო გარემოში გაატარებენ*



ესაუბრა
**მარინა მითაიშვილი**

# შეფმზარეული

*ქართულმა სამზარეულომ განვითარების მეტად საინტერესო გზა გაიარა და ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მიმზიდველ ტრადიციულ სამზარეულოდ ჩამოყალიბდა. იგი კიდევ უფრო დახვეწეს შეფმზარეულებმა.*

*ჩვენი რესპონდენტის ლუკა ხინკილაძის კულინარიული საქმიანობის პირველი საფეხურები ბათუმს უკავშირდება. როგორც თვითონ ამბობს, ამ სფეროში მოღვაწეობა 16 წლის ასაკში დაიწყო დამხმარეს პოზიციიდან. თავიდანვე შეუყვარდა ეს საქმე და მიზნად დაისახა, უფრო მეტად შეეცნო და გაეგო ამ პროფესიის „გემო“. დაუზარელმა შრომამ და მუდამ ახლის ძიებამ მიიყვანა შეფმზარეულობამდე. ლუკა საერთაშორისო კულინარიული კონკურსის „ბოკუზ დორ“-ის ერთ-ერთი მონაწილე იყო საქართველოს სახელით და ერიკ სარქისიანის გუნდში ირიცხებოდა*

- „ბოკუზ დორის“ საერთაშორისო კონკურსი უკვე მრავალი წელია ტარდება. წელს საქართველომ პირველად მიიღო მასში მონაწილეობა და ჩემთვის დიდი პატივი იყო ქვეყნის წარდგენა კონკურსზე, სადაც მთელი მსოფლიოს შეფები და ამ პროფესიის გურუები იკრიბებიან. აქ გავიცანი უამრავი საინტერესო პიროვნება. ამაღლევებელი იყო ქართული გემოების წარდგენა - ეს მათთვის იყო რაღაც ახალი და დიდი ინტერესიც დავიმსახურეთ.

***„ ეს სფერო არასდროს დგას ერთ ადგილზე. გასტრონომია ყოველდღიურად ვითარდება. ერთგვარი აზარტის და ხელოვნების ნაზავია. სულ სიახლის ძიებაში ვარ. სხვა შეფმზარეულებთან კონტაქტი და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებაც ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია მოტივაცია, თვითკრიტიკულობა, თვითანალიზი, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და საკუთარ თავში მუდმივი ინვესტიცია***

**- თქვენს ასაკში - შეფმზარეული?**

- თავდაუზოგავი შრომა არის შედეგის გარანტი. ეს სფერო არასდროს დგას ერთ ადგილზე. გასტრონომია ყოველდღიურად ვითარდება. ერთგვარი აზარტის და ხელოვნების ნაზავია. სულ სიახლის ძიებაში ვარ. სხვა შეფმზარეულებთან კონტაქტი და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებაც ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია მოტივაცია, თვითკრიტიკულობა, თვითანალიზი, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და საკუთარ თავში მუდმივი ინვესტიცია. 17 წლისა პატარა სასტუმროს შეფმზარეული გავხდი, სადაც ორ რესტორანში ვხელმძღვანელობდი ქართულ და იტალიურ სამზარეულოებს. შემდეგ, ბათუმის ერთ-ერთ დიდ სასტუმროში, შეფ ირაკლი თოდაძესთან გადავედი, რადგან, როგორც აღვნიშნე, პრიორიტეტი ჩემთვის განვითარება იყო. იქ მუშაობა გაცილებით ნაკლებ ხელფასზე და უფრო მეტი დატვირთვით დავიწყე, მაგრამ მინდოდა, მასთან მესწავლა და მეტი გამოცდილება მიმეღო. მოხარული ვარ, რომ ნელ-ნელა ვითარდება იმის კულტურა, რომ ადამიანმა საკუთარ თავში ინვესტიცია ჩადოს, რათა მომავალში, უკეთესი შედეგი მიიღოს. ერთ ადგილზე რომ დავრჩენილიყავი, ვერ განვვითარდებოდი. კერპები მყავს, რომელთა მიერ მომზადებული კერძები ჩემს დიდ ინტერესს იწვევს. შთაგონების



წყარო რამდენიმე უცხოელი შეფია, მაგრამ განსაკუთრებით გამოვარჩევ ირაკლი თოდაძეს. ის არის მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს შეფმზარეული. მან უამრავი სტერეოტიპი დაამსხვრია, მუდამ სიახლეებს ეცნობა, ვითარდება. შეფმზარეული რომ გავხდი, ირაკლი თოდაძის დამსახურებაა. მან დიდი მოტივაცია მომცა. სამზარეულოს მიმართ საოცარი მიდგომა აქვს, არასდროს დაიზარებს რაიმეს გაკეთებას, თვითონაც ისე მუშაობს, როგორც ნებისმიერი სხვა თანამშრომელი, ეს ჩვენთვისაც მაგალითია.

**- რა უმთავარესი განსხვავებაა ქართულ და უცხოურ სამზარეულოებს შორის და რას ნიშავს ქართული სამზარეულო თქვენთვის?**

- უცხოეთში მუშაობის გამოცდილება ჯერჯერობით არ მაქვს, თუმცა ვიყავი იტალიაში მასტერკლასზე სხვადასხვა ქვეყნის შეფებთან ერთად. ეს კარგი გამოცდილება იყო ჩემთვის. უცხოურ სამზარეულოს ბევრი სხვადასხვა ინგრედიენტი, პროდუქტის მრავალფეროვნება ახასიათებს და იმის შესაძლებლობაც ეძლევათ, რომ იმუშაონ სხვადასხვა ხარისხიანი პროდუქტით. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს მსგავსი შესაძლებლობა და გვიწევს ბაზარზე არსებული პროდუქტით მუშაობა. ქართული სამზარეულო ჩემთვის არის ხასიათი, რომელსაც აქვს თავისი ისტორია. თითო კერძი ეს არის ცალკე „ამბავი“, რომლის უკანაც ჩვენი წინაპრები დგანან. ეს დასაფასებელია და არ უნდა დავკარგოთ. ქართულ სამზარეულოს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ მსოფლიო კულინარიის ბილიკზე დადგომაში.

**- თქვენი საფირმო კერძი, რომლითაც თავს იწონებთ სტუმრებთან?**

- ჩემი მენიუს შემადგენლობა იცვლება სეზონის მიხედვით, რათა მაქსიმალურად გამოვიყენო ხარისხიანი პროდუქტი და გემოთა ბალანსი. სეზონური პროდუქტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ თითოეული კერძი სტუმარმა მიირთვას დაბალანსებულად და გაიაზროს ის შრომა, რაც ჩადებულია მის შექმნაში. რაც შეეხება ცალკე საფირმო კერძს, არ მაქვს.

**- რა არის მთავარი კულინარიაში - „გემოების“ შეხამება, გემოვნება თუ განათლება?**

- სამივე ერთნაირად მნიშვნელოვანია. ზოგადი განათლება, ისევე როგორც ყველაფერში, აქაც ძალიან მნიშვნელოვანია. ქიმია რომ მესწავლა კარგად, დღეს უკეთესი კულინარი ვიქნებოდი. მარტივი მაგალითებია, თუნდაც, რა რეაქცია ხდება პროდუქტების შეხამებისას... რომელი სურსათი რა ვიტამინს შეიცავს. ცხადია, რაც მეტი განათლება გვაქვს სხვადასხვა სფეროში, მით უფრო „ძლიერნი“ ვართ ჩვენსაში.

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართული სამზარეულო საერთაშორისო არენაზე უკეთ გაიცნონ და დააფასონ?**

- უდავოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ ცოცხალ გემოებს, რასაც ნატურალური, ორგანული, მიწაზე მოყვანილი პროდუ-



ქტი იძლევა. განვითარება იწყება ძიებიდან. ეს სფერო საკმაოდ კომერციული გახდა და ძირითადად, გვხვდება ისეთი კერძები, რომლებიც უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობია. თუმცა გვაქვს დიდი რესურსი - წინაპართა მიერ დატოვებული ბევრი უცნობი კერძი, რომელიც უნდა გავიხსენოთ და წარმოვადგინოთ ახლებურად. ამაში ცუდი არაფერია, რადგან გემო რჩება ძირძველი, ქართული, იცვლება ტექსტურები და ფორმა. ამის საშუალებას ისევ თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს. ექსპერიმენტები ძალიან საჭირო რამეა, მის გარეშე ვერ განვითარდები, ამიტომ ყველა კერძს სჭირდება რაღაცის შეცვლა, დამატება-გამოკლება და ა.შ. ასე იქმნება საინტერესო კომპოზიციები.

**- ბევრი კულინარისგან მსმენია, რომ ქართულ საზოგადოებას ახალი კერძებისა და „გემოების“ მიღება უჭირს...**

- ქართველებს უცხო ხილის გასინჯვის გვეშინია... აი, ხშირად ვიყენებთ გამოთქმას - „ჭამის კულტურა“. მაგალითისათვის გეტყვით, რომ ფრანგი, სიტყვა „ჭამას“ რესტორანთან მიმართებაში იშვიათად ხმარობს. ისინი რესტორანში არა საჭმელად, არამედ ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად, ახალი „გემოების“ გასაცნობად დადიან. ჩვენ კი, სამწუხაროდ, სწორი კვება არ ვიცით. „სტარტერი“, ქართველებში უცხო ხილია. რესტორანში მოსულ ადამიანს, როდესაც პატარა კერძს სთავაზობ, ხშირად უკმაყოფილო რჩება. არადა „სტარტერი“, სწორედ ძირითადი კერძის წინაპირობაა, მისი მიღებიდან მცირე დროში, ადამიანი შიმშილის შეგრძნებას კარგავს და ძირითად კერძს უკვე არა დანაყრებისთვის, არამედ სიამოვნებისთვის მიირთმევს. „დესერტი“ კი ამ ციკლის დასასრულია.

**- როცა ოჯახში ხართ ან მეგობრებთან ერთად, ვინ არის მაშინ ლუკა - მზარეული თუ დეგუსტატორი?**

- როცა ოჯახში ვარ, ვცდილობ მაქსიმალურად განვიტვირთო, მაგრამ უკვე ჩვევად მაქვს სამზარეულოში ყველაფრის კონტროლი და შესაბამისად, განტვირთვა არ გამომდის, თუმცა ვცდილობ არ ჩავერიო, როცა მეუღლე საქმიანობს.

**- თქვენს გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჩემი დიდი სურვილია, მივიღო უცხოეთში მუშაობის გამოცდილება „მიშლენის“ ვარსკვლავოსან შეფებთან ერთად. კერძოდ, სკანდინავიის ქვეყნებში და ყველაფერი გავაკეთო ქართული სამზარეულოს პოპულარიზაციისთვის.

## უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ოკუპანტებისგან ხარკოვის ოლქის ქალაქ ბალაკლეას გათავისუფლება დაადასტურა. ზელენსკიმ „ტელეგრამის“ პირად გვერდზე გამოაქვეყნა უკრაინელი სამხედროების ვიდეო, რომლებმაც ქალაქის თავზე უკრაინული დროშა აღმართეს. „ყველაფერი არის თავის ადგილზე. დროშა თავისუფალ უკრაინულ ქალაქში, თავისუფალი უკრაინის ცის ქვეშაა“, - განაცხადა ზელენსკიმ. შეგახსენებთ, ქალაქი ბალაკლეა რუსმა ოკუპანტებმა მარტის დასაწყისში აიღეს. ზელენსკის განცხადებით, პირველი სექტემბრიდან 1000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია გაათავისუფლეს. „მიმდინარე თავდაცვითი ოპერაციების ფარგლებში, ჩვენმა გმირებმა უკვე გაათავისუფლეს ათობით დასახლებული პუნქტი. დღეს ეს მოძრაობა გაგრძელდა და არის ახალი შედეგები“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

* * *

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მატეუშ მორავეცკი კიევში ჩავიდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია პოლონეთის მთავრობის პრესსპიკერ პიოტრ მიულერზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი თქმით, ვიზიტის შესახებ ინფორმაცია უსაფრთხოების მიზეზების გამო მოგვიანებით გავრცელდა. „ვიზიტი არის პოლიტიკური სიგნალი კრემლისთვის. ჩვენ მხარს დავუჭერთ უკრაინას ამ ძალიან რთულ ვითარებაში. მიგვაჩნია, რომ რუსეთი არღვევს ყველა შესაძლო საერთაშორისო სტანდარტს. უკრაინის დაცვა ჩვენი უსაფრთხოების დაცვაა“, - აღნიშნა პიოტრ მიულერმა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ვიდეოკონფერენცია გამართა, სადაც განიხილეს უკრაინისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობა, მათ შორის თავდაცვისა და ეკონომიკური დახმარების გაგრძელების გზით, - ამის შესახებ თეთრი სახლის პრესსპიკერმა კარინ ჟან-პიერმა განაცხადა. მისი თქმით, ვიდეოკონფერენციის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს რუსეთის მიერ ენერგომატარებლების იარაღად გამოყენების შესახებ. ამ კონტექსტში საუბარი შეეხო ევროპისთვის მდგრადი და ხელმისაწვდომი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად დამატებითი ნაბიჯების გადადგმის მნიშვნელობას.

* * *

უკრაინის ეროვნული პოლიციის გამომძიებლებმა რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეების მიერ უკრაინის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე 31 ათასი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, - ამის შესახებ უკრაინის ეროვნული პოლიციის ორგანიზაციული, ანალიტიკური მხარდაჭერისა და ოპერატიული რეაგირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ოლექსი სერგეევმა განაცხადა. „პოლიციამ აღძრა 1100 სისხლის სამართლის საქმე გასული კვირის განმავლობაში, საერთო ჯამში კი 31000 საქმე ომის დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე“, - აღნიშნა სერგეევმა. მისივე თქმით, ეროვნული პოლიცია აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას მოქალაქეების ევაკუაციაში. კერძოდ, გასულ კვირას სახიფათო ტერიტორიებიდან 7800 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

* * *

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ 127 სამედიცინო დაწესებულება განადგურდა, 826 კიდაზიანდა, - ინფორმაციას ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ისინი გლობალური ჯანდაცვის ორგანიზაციასთან Project Hope-თან თანამშრომლობენ, რათა მთელ ქვეყანაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა აღადგინონ. „ვაერთიანებთ ძალისხმევას ჩვენს პარტნიორებთან, რათა პირველ რიგში აღვადგინოთ საავადმყოფოები, რომლებიც მცირედით არიან დაზიანებული და მათი უმოკლეს დროში აღდგენაა შესაძლებელი“, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ბოგდან ბორუხოვსკიმ. მისი თქმით, რუსული ძალების მიერ დაზიანებული 62 ობიექტი უკვე აღდგენილია.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერზე“ წერს, რომ უკრაინაში კონფლიქტის გაყინვა არ იქნება. „რას ეუბნება მსოფლიოს ეფექტიანი უკრაინული კონტრშეტევა? 1. უკრაინამ დაამტკიცა, რომ შეუძლია თავისი ტერიტორიების დეოკუპაცია. კონფლიქტის გაყინვა არ იქნება. 2. უკრაინამ დაამტკიცა, რომ შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს თანამედროვე დასავლური იარაღი. 3. დროა, რუსული ჯარები აქედან წავიდნენ“, - წერს მიხაილო პოდოლიაკი.

გვერდი მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# «სამსახურებრივ საქმიანობას ადამიანებზე ზრუნვაც უნდა შეუხამო»

***ჩვენი სტუმარია ჭვანის საშუალო სკოლის დირექტორი ლევან კილაძე.***



- ახალი სასწავლო წლის დაწყება განათლების სისტემაში ჩართული ადამიანებისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდია. გამონაკლისი ვერც ჩვენ ვიქნებით. იქ, სადაც პირველი ქართული სკოლა აღდგა, 109-ე სასწავლო წელს ვიწყებთ. ისტორია მრავალ ფაქტს, მოვლენას ინახავს, რომელსაც სამზეოზე გამოტანა მეტ ელფერს შესძენს. იმ დროს, როცა ხეობაში ქართული სკოლა აღდგა, ძალიან ცოტა იყო ის ადამიანი, ვინც ქართულ ენაზე წერა-კითხვა იცოდა. სწორედ მათი და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» ღირსეული წევრების აპოლონ წულაძის,ზაქარია ჭიჭინაძის აქტიურობით, 1915 წელს გახსნილმა სკოლამ პირველი მოსწავლეები მიიღო. მასწავლებელი სვანეთიდან მოვლინებული იყო. რიგი გარემოებების გამო, 1917 წელს სკოლა ისევ დაიხურა.

**- ჭვანაში პირველი ქართული სკოლის საუკუნოვანი იუბილე საზეიმოდ აღნიშნეთ...**

- ჩვენი, ხეობის ღირსეული მკვიდრების პროფესორ აკაკი ზოიძის, განათლების სისტემის ამაგდარის ნოდარ (ხასან) ქათამაძის სურვილი იყო, ეს მოვლენა ფართოდ აღგვენიშნა. მარტო ის რად ღირს, რომ ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე, რომელსაც დეკემბერში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად - რაიონად დაარსების 70 წელი უსრულდება. ჭვანა და ოლადაური პირველი სოფლები იყო, სადაც ქართული სკოლები აღდგა. 1948 წელს მაშინდელი ხულოს რაიონის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა, ჭვანაში ან უჩამბაში საშუალო სკოლის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო კერა გაეხსნათ. კომუნისტური რეჟიმი არავის არაფერს პატიობდა. ჭვანის თემის მაშინდელი ხელმძღვნელი სიმონ ქარცივაძე ამ საპასუხისმგებლო საქმეს ვერ შეეჭიდა და უჩამბელებმა დაიწყეს აქტიურობა. თუმცა ხეობაში პირველი საშუალო სკოლა მაინც ჭვანაში, 1954 წელს გაიხსნა. მეამაყება, რომ ისეთი სახელოვანი დირექტორების, როგორებიც იყვნენ კარლო დოლიძე, შემდგომში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, დურსუნ მახარაძე, მუსა ცეცხლაძე, ლევან სანიკიძე, ალექსანდრე მიქელაძე, ახმედ მსახურაძე, რევაზ ქათამაძე, ზაირა სანიკიძე, - დაწყებულ საქმეს წარმატებით ვაგრძელებ. ღირსეული წინამორბედებიდან წუთისოფელს სამნი შემორჩა. სკოლის საუკუნოვან იუბილეზე ისინიც წარმოვაჩინეთ, რომლებმაც ღირსეული ხელმძღვანელების გვერდით მუშაობით საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

**- ჩამონათვალში ზაირა სანიკიძე ახსენეთ. ქალის როლი და ავტორიტეტი იმ პერიოდში საკმაოდ დაკნინებული იყო. გამონაკლისი ვერც ჭვანის ხეობა იქნებოდა...**

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემული «აჭარული საუნჯის» ტომებს თუ გაეცნობით, ნათელი წარმოდგენა გექნებათ ჩვენი ხეობის ქალების საგმირო საქმეებსა და თავდადებაზე. ჭვანელი ნაზიკო დუმბაძე არა მარტო ხეობაში, არამედ აჭარის მთიანეთში ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. მის კვალს გაჰყვნენ შახზენ მჟავანაძე, ფატი ქათამაძე, მედეა ტარიელაძე, ანიკო კილაძე, ლიანა ტაკიძე. დღეს ჭვანის საჯარო სკოლაში 18 პედაგოგიდან 13 ქალია. თანახეობელი შუშანა ტარიელაძე პირველი იყო, რომელმაც მენტორი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვა. მალე ამ სტატუსს კიდევ რამდენი ქალი მასწავლებელი მოიპოვებს.

**- ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა უკეთ წარმოაჩინა. ჭვანის საჯარო სკოლაში რა მდგომარეობაა?**

- სტატისტიკა მრავლისმთქმელია - კურსდამთავრებულთა 85-90 პროცენტი სტუდენტი ხდება. ასეთ შედეგებს მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია განაპირობებს.

**- შუახევის მუნიციპალიტეტის სკოლების 250-მდე პედაგოგმა საგამოცდო ზღვარი ვერ გადალახა. თქვენს სკოლაში რა ვითარებაა?**

- შარშან ჭვანაში აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები გვსტუმრობდნენ. საინტერესო და გულღია დიალოგი გვქონდა. მაშინ აღვნიშნე, რომ არ ვიქნებოდით მართალი იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც 30-40 წელი მომავალი თაობის აღზრდას შეალიეს, თუ ხელის ერთი მოსმით სკოლას ჩამოვაშორებდით. მე ახლაც ამ პოზიციაზე ვარ. თუ გამოცხადებული კონკურსის შემდეგ მსურველი არ იქნება, უსტატუსო მასწავლებლები მუშაობას გააგრძელებენ.

**- ადრე მათ პრაქტიკოს მასწავლებლებს უწოდებდნენ, ახლა...**

- ამიერიდან მათ სტატუსი აღარ ექნებათ, თანაც ძალიან მწირ ანაზღაურებაზე იმუშავებენ. სკოლიდან მთლიანად დათხოვნას, ასეთი სტატუსით მუშაობა ურჩევნიათ.

**- მთის სკოლები მოსწავლეთა კონტინგენტის სიმწირის გამო გაუქმების წინაშე დგას...**

- წელს პირველ კლასში 7 მოსწავლეა, მეთორმეტე კლასს 8 მოსწავლე ამთავრებს. ადრინდელის მსგავსად, 300-400 მოსწავლე აღარ გვყავს, მაგრამ არც კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

**- საზოგადოებას კარგად ახსოვს ის წლები, როცა ჭვანის სკოლა სახელოვან ადამიანებს, პედაგოგებს, შეხვედრებს უწყობდა...**

- კარგია, როცა წინამორბედის სახელოვან საქმეებს არ ივიწყებენ. გუგული ბერიძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მოწინავე მასწავლებლის სახელთან ერთად, ღონისძიებების ორგანიზატორის სახელიც დაგვიტოვა. კარგად გვახსოვს შეხვედრები ფრიდონ ხალვაშთან, ზურაბ გორგილაძესთან, შოთა, ზურაბ ზოიძეებთან, ჯემალ ქათამაძესთან. ზაირა სანიკიძე იმ წლებში, როცა პედაგოგიურ სარბიელზე გამოვედი, სკოლის დირექტორი იყო. არ ვიქნებოდით მის წინაშე მართალნი, რომ მისთვის საიუბილეო საღამო არ მოგვეწყო. გასულ სასწავლო წელს საიუბილეო თარიღები მივულოცეთ სულიკო ზოიძესა და რამაზ ქათამაძეს. კიდევ რამდენიმე პედაგოგისთვის გვსურს იუბილეების გადახდა.

**- სოფელში მაყურებლის როლში ვერ იქნებით...**

- მეუღლე მაგული დავითაძე ჭვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმია. ესეც ერთგვარი ვალდებულებაა, რომ სოფლის საჭირბოროტო საქმეებში აქტიურად ჩავერთოთ. მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც ხშირად გამოცდის წინაშე გვაყენებს. თემში 6 სოფელია. ადამიანები მისაშველებლად ექიმს რომ უხმობენ, საკუთარი ტრანსპორტითაც ვემსახურებით. სკოლის შენობის რემონტი რომ ტარდებოდა, მუშების მასპინძელიც ჩვენი ოჯახი იყო. სოფელი, ჩვენი ადათ-წესები ითხოვს, რომ სამსახურებრივ საქმიანობას ადამიანებზე ზრუნვაც შეუხამო.

**- ერთ დროს ჭვანის ცენტრი მივიწყებულ-მიტოვებული იყო. ახლა?**

- ყველას დისკომფორტს გვიქმნიდა იმ შენობაში გაკვეთილის ჩატარება, რომლის დერეფნებში ჩამტვრეული, ჩამოცვენილი ფანჯრები იყო, შენობა ღუმელებით თბებოდა. ახლა კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გვაქვს. ტერიტორია, სადაც სკოლაა განთავსებული, თემის ადმინისტრაციული ცენტრიცაა. ერთ დროს მიგდებული სასკოლო ინტერნატის შენობა საბავშვო ბაღმა და სარიტუალო დარბაზმა დაიკავა. თემის ადმინისტრაციულ შენობაში სოფლის ბიბლიოთეკაა განთავსებული. ჭვანა შუახევში პირველი სოფელია, სადაც ბიბლიოთეკა აღადგინეს. ამ ცერემონიას ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე დაესწრო. უკვე რამდენიმე ღონისძიებას უმასპინძლა ღია სივრცემ, რომელიც სპორტული მოედნის გვერდით მოეწყო.

> ***,, ყველას დისკომფორტს გვიქმნიდა იმ შენობაში გაკვეთილის ჩატარება, რომლის დერეფნებში ჩამტვრეული, ჩამოცვენილი ფანჯრები იყო, შენობა ღუმელებით თბებოდა. ახლა კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გვაქვს. ტერიტორია, სადაც სკოლაა განთავსებული, თემის ადმინისტრაციული ცენტრიცაა. ერთ დროს მიგდებული სასკოლო ინტერნატის შენობა საბავშვო ბაღმა და სარიტუალო დარბაზმა დაიკავა.***

# ორკომპონენტიანი პროგრამა

***ქედის მუნიციპალიტეტში „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის“ მხარდამჭერი მუნიციპალური ორკომპონენტიანი პროგრამა ამოქმედდა.*** იგი ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ (WIC), დანიური არასამთავრობო ორგანიზაცია KVINFO-ს მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (საჭიროებისამებრ), ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ტრენინგ-სემინარების საშუალებით.

პროგრამის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე 6740 ლარს შადგენს.



# შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებმაც გრანტები მოიპოვეს

***გასული სასწავლო წელს შუახევის სკოლების სრული კურსი 175-ზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა.*** ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრებულთაგან 90 სტუდენტი გახდა. შუბნის, ჭვანის, ხიჭაურის, ახალდაბის, ნიგაზეულის, ხაბელაშვილების საჯარო, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლების 8 კურსდამთავრებულმა გრანტები მოიპოვა, მათგან ერთმა - ნონა ბოლქვაძემ 70-პროცენტიანი, ხოლო შვიდმა 50-პროცენტიანი გრანტები მოიპოვეს. ესენი არიან: მიშა შაინიძე, საბა ბოლქვაძე, ანა ბერიძე, ლუკა ზოიძე, ირაკლი ამაღლობელი, ანა კეკელიძე, ნატა ცინცაძე.



შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე და საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი მზია დავითაძე ამ წარმატებულ ახალგაზრდებს შეხვდნენ და დიპლომებით, სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, პრიორიტეტებზე და სამომავლო გეგმებზე. როსტომ ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ განათლება, რის საშუალებასაც სახელმწიფო აძლევს ახალგაზრდებს, უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, რათა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა ახალგაზრდამ შეძლოს დასაქმება სასურველ სფეროში, მშობლიური კუთხისთვის სასარგებლო საქმის კეთება.

შეხვედრაზე ახალგაზრდებმა თავიანთ ინტერესებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

- ჩემი მიზანია წარჩინებით დავამთავრო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მშობლიური კუთხის სამსახურში ჩავდგე. ვიცი, რომ დიდი და რთული გზა მაქვს გასავლელი, მაგრამ სიძნელეები არ მაშინებს, - თქვა ხიჭაურის საპატრიარქოს სკოლის კურსდამთავრებულმა ნონა ბოლქვაძემ.

# ნათლობა სხალთასა და გამონათლევში

***სხალთის ეპარქიაში უკვე რამდენიმე ეკლესია და სამლოცველო მოქმედებს, მაგრამ ნათლობისა და ჯვრისწერის რიტუალების შესასრულებლად მორწმუნენი მაინც სხალთის ტაძარს ირჩევენ***

- ეს ტაძარი ჩვენი სახე და სახელია, - გვითხრა ბათუმელმა დავით დავითაძემ, - უმცროსი ვაჟის მონათვლა აქ ვარჩიეთ, ნათლია სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონნია. ნათლობის რიტუალი მამა ნიკოლოზმა (ჭანტურია) ჩაატარა.

იმ დღეს სხალთის ტაძარში კიდევ რამდენიმე ადამიანი ეზიარა მართლმადიდებლობას.

გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ეზიარა მართლმადიდებლობას მარიამ



ჯაყელი. იგი პროფესიით იურისტია და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობს.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ერთობლივად მრავალი საქმე გადაწყდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***1500-მდე ბაკალავრი და მაგისტრანტი სასურველ განათლებას იღებს საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. 10-მდე სპეციალობას სტუდენტებს 50-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი ასწავლის***

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში. რამდენიმემ სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა და ახლა ლექციების კურსი მშობლიურ უნივერსიტეტში მიჰყავს.

უნივერსიტეტის რექტორს, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საქმიანი ურთიერთობები აქვთ ქედის, შუახევის, ხულოს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, ცალკეული სამინისტროების ხელმძღვანელებთან, რომლებიც, თავის მხრივ, უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე პროცესებითაც ინტერესდებიან.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ შეხვედრა ჰქონდათ შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების პირველმა პირებმა მათ მიმდინარე წლის პრიორიტეტები გააცნეს, მათ შორის აღსანიშნავია ოთოლთას ციხის რესტავრაცია-კონსერვაცია, რომელიც უნივერსიტეტის სიახლოვესაა. ბეტონის საფარის დაგება გაგრძელდება ჩირუხისა და თაგინაურის მიმართულებით. მალე დაბაში ხარაჩოებს ჩამოიხსნის კულტურის ცენტრის შენობა, მთავრდება ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქცია, დაიწყო და გაისად დასრულდება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის 11-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია. პროექტზე 11 მილიონი ლარი იყო მობილიზებული, საიდანაც კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ «ზიმო-7» მხოლოდ 4 მილიონი ლარის სამუშაოები შეასრულა, მისი გაკოტრების შემდეგ კი ხელახალი კონკურსი გამოცხადდა. ახლა სამუშაოებს კომპანია «გზა» ასრულებს. ქვეყნის მთავრობამ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად დამატებით 4 მილიონი ლარი გამოყო. ამჟამად სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკით მიმდინარეობს და გაისად - შემოდგომაზე უნდა დასრულდეს.

შეხვედრაზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ნაილა ჩელებაძემ, რაჟდენ ფუტკარაძემ, ნესტან მამუჭაძემ, ლელა კუკულაძემ, იაშა თანდილავამ, ელზა ფუტკარაძემ, ნაილე მიქელაძემ, ნანა ჯიჯავაძემ, რეზო ვასაძემ უნივერსიტეტისა და მუნიციპალიტეტის შემდგომ ურთიერთობებზე გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრის შემდეგ სხალთელმა მთავარეპისკოპოსმა ომარ ტაკიძე და როსტომ ლორთქიფანიძე რეზიდენციაში ტრაპეზზე მიიპატიჟა.

- სხალთის ეპარქია ისტორიას 2006 წლიდან ითვლის. 16 წლის განმავლობაში მრავალი სიახლისა და წამოწყების მოწმენი გავხდით, - გვითხრა ომარ ტაკიძემ, - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II, ასევე მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, მალე დაბა შუახევში ახალი ტაძარი გვექნება. ტაძრის მშენებლობა იგეგმება ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, ელვაურის უბანში, განახლდება სამშენებლო სამუშაოები ჭალაში არსებულ ტაძარზე. ჩვენი მიზანია, ხიჭაურის დასახლებასაც, ადრინდელის მსგავსად, ხელი წავაშველოთ. ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობით კიდევ მრავალი საშვილიშვილო პროექტი განხორციელდება.

# აჭარის მუნიციპალიტეტებში რამდენიმე სპორტული ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*აჭარის პროექტების მართვის კომპანია სისტემატურად აკონტროლებს რეგიონის მასშტაბით სპორტული ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესს. რამდენიმე ობიექტის პარალელურ რეჟიმში მიმდინარე მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები კომპანიის დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ მუნიციპალური პროექტების მართვის კოორდინატორ გიორგი ქათამაძესთან ერთად მოინახულა*

- დღეისათვის, რეგიონის მასშტაბით, 4 პროექტი მიმდინარეობს, 6-ის განხორციელება კი წლის ბოლოდან ეტაპობრივად დაიწყება. მონიტორინგის მიზნით, შუახევის საფეხბურთო მოედნისა და ღორჯომის სპორტული



დარბაზის მშენებლობა მოვინახულეთ. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რათა შუახევში, 500 მაყურებელზე გათვლილი საფეხბურთო სტადიონი რაც შეიძლება მალე გაიხსნას. მოედანზე ხელოვნურ საფარს ორ კვირაში დააგებენ. ტერიტორიის მზადება მწვანე საფარის დასაგებად დასასრულს უახლოვდება. მოსწორდა ზედაპირი, დაიყარა შესაბამისი ბალასტი და მოიხრეშა. მზად არის მეტალის კარკასები ტრიბუნებზე პლასტმასის სკამების დასამონტაჟებლად, ასევე, შშმ პირებისთვის განკუთვნილი სპეციალური იარუსი. მოვინახულეთ ღორჯომის ძალოსნობის სპორტდარბაზის მშენებლობაც. ორსართულიანი შენობა უკვე აშენებულია. მალე გადაიხურება, ჩაისმება კარ-ფანჯრები და შეიფუთება, რის შემდეგაც შიდა სარემონტო სამუშაოები დაიწყება. პროექტი მოიცავს სავარ-



ჯიშო დარბაზს, გასახდელებსა და საშხაპეებს, სამედიცინო კაბინეტსა და მწვრთნელების ოთახს. მოწყობილია პანდუსი. ობიექტს ექნება ავტოსადგომი და კაფეტერიაც. ჩვენი მოთხოვნაა მშენებელი კომპანიების მიმართ, რომ ყველა ობიექტი იყოს შშმ პირებზე ადაპტირებული და შესაბამისი სტანდარტების დაცვით მოწყობილი, - გვითხრა ბაქარ ჩიტაიამ.

აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ ღორჯომისა და შუახევის პროექტებზე ტენდერი შარშან გამოაცხადა და მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

# აჭარა, საქართველო ასახელეს

მე-2 გვერდიდან

- ევროპის ჩემპიონატზე აჭარის სპორტსმენები წარმატებულად გამოვედით და ეს განაპირობა იმ ხელშეწყობამ, რაც ნამდვილად გვაქვს. ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადები, ამისთვის რამდენიმე დღეში შეკრებაზე გავემგზავრები საქართველოს ნაკრებთან ერთად და მაქსიმალურად შევეცდები, კარგად მოვემზადო მსოფლიო ჩემპიონატისთვის და იგივე შედეგი გავიმეორო - გავხდე ჩემპიონი. გაისად სალიცენზიო წელი იქნება და ჩემი სურვილია ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება. ამისთვის საჭიროა, ნაკრებში ადგილი მყარად დავიმკვიდრო. ოლიმპიური ლიცენზია, მსოფლიო ჩემპიონატის გარდა, სხვა შეჯიბრებებზეც გათამაშდება და შევეცდები, ყველგან წარმატებით გამოვიდე. ამისთვის ვიცი, რომ ბევრი შრომა მოგვიწევს, - თქვა ბერძნულ-რომაულ სახეობაში მოჭიდავე დიეგო ჩხიკვაძემ.

- წინა სეზონზე ევროპის ჩემპიონატში ვმონაწილეობდი და გამოუცდელობის გამო, ფიზიკურადაც არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული, დავმარცხდი. შემდეგ ბევრი ვივარჯიშე, მიზნად გამარჯვება დავისახე, კარგად მოვემზადე საქართველოს პირველობისთვის, მერე - ევროპისთვის. კარგადაც მივედი შეჯიბრებამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევარფინალში დავმარცხდი, მესამე ადგილისთვის ვიბრძოლე და მოვიგე. მომავლისთვის შევეცდები, საქართველოს პირველობისთვის კარგად მოვემზადო. ჯერ ეს მაქვს მოსაგები, მერე ევროპა და მსოფლიო, უფლის წყალობით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენი ქვეყნის დროშა ავაფრიალო, - აღნიშნა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ანრი გოგუაძემ.

- წელს ძალიან კარგი მიღწევები გვქონდა როგორც ევროპაზე, ისე მსოფლიო ჩემპიონატებზე - ჩემი მოსწავლეები წარმატებულად გამოვიდნენ. მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ასევე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს - ხელშეწყობისთვის, - გვითხრა აჭარის 23-წლამდელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მინდია შაინიძემ.

* * *

იმავე დღეს სამინისტროში მსოფლიო ჩემპიონს ძალისმიერ სამჭიდში თემურ სამხარაძეს შეხვდნენ, რომელმაც თურქეთის ქალაქ სტამბოლში მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებში მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, იმავდროულად, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდები დაამყარა.



წარმატება ასევე მიულოცეს ნოდარ ხაჯიშვილს, რომელიც მონაწილეობდა რიგით მე-15 მსოფლიო ჩემპიონატსა და სემინარში შოტოკან კარატე დოში იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში. მან კომბინაცია კატაში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ასევე იასპარეზა ჯუ კუმიტეში - თავისუფალი ბრძოლა (აბსოლუტური კატეგორია) და მეექვსედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა აჭარის სპორტის დეპარტამენტის პროგრამის „სპორტის ხელშეწყობა“ ფარგლებში, ერთჯერადი მატერიალური დახმარება მიიღეს.



# დიდი ბრიტანეთის ახალი მონარქის პირველი აუდიენცია



The Sun-ის ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზ III-მ გუშინ ლონდონის ბუკინგემის სასახლეში პირველი აუდიენცია გამართა - ლანჩის შემდეგ მეფესთან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი მივიდა.

როგორც ცნობილია, მთავრობის ახალი მეთაური თანამდებობაზე დედოფალმა ელისაბეთმა გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე - სამშაბათს დანიშნა. ამისთვის ლიზ ტრასი ბალმორალში (შოტლანდია) იმყოფებოდა, სადაც დედოფლის წინაშე ფიცი დადო.

ინფორმაციის თანახმად, ამიერიდან ახალი მონარქი და პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო საკითხებს ყოველ სამშაბათ საღამოს ბუკინგემის სასახლეში აუდიენციის დროს განიხილავენ.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/09/22, 22 10 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „ყოველთვის იბრძოლეთ თქვენი ოცნებების ახდენისთვის“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*მარიამ გოგბერაშვილი ახალგაზრდა მომღერალია. ბავშვობიდან იტაცებდა სიმღერა, მალე ის პროფესიად აქცია და მრავალ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. იბრძვის წარმატებისთვის, რომელსაც მთელი გულით უძღვნის საყვარელ ადამიანებს.*

**- მარიამ, როგორ დაიწყო შენი და სიმღერის თავგადასავალი?**

- სცენაზე დგომაზე პატარაობიდან ვოცნებობდი, სიმღერის გაკვეთილებზე 3 წლიდან დავდივარ. ჯერ მოყვარულის დონეზე, შემდეგ კი პროფესიული კუთხით დავიწყე ამ მიმართულებით განვითარება. ვმღეროდი პოპს, ჯაზს, თითქმის ყველა სტილს. მასწავლებელმა ჩემში ოპერის მომღერლის ნიჭიც დაინახა და დავიწყეთ გაძლიერებული მეცადინეობა. ასე დავიწყე საოპერო ხელოვნებაში პირველი ნაბიჯების გადადგმა. უბედნიერესი ვარ, რომ გამიმართლა და ვიპოვე ის გზა, რომელიც ყველაზე ჭეშმარიტი აღმოჩნდა ჩემთვის.

**- კონსერვატორიაში ჩაბარება როდის და რატომ გადაწყვიტე?**

- ჩემს ამ სურვილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველა მეუბნებოდა, რომ საამისოდ ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ იმდენი ხანია სცენაზე ვდგავარ, თავს პატარად ვერ აღვიქვამდი, თანაც კონსერვატორიის დიპლომი აუცილებელია ნებისმიერი მომღერლისთვის. ასე ვთქვათ, ეს შენი განათლების გარანტიაა. გავედი და ვოკალის გამოცდაზე პირველივე ცდაზე მოვხვდი სასწავლებელში. ამის შემდეგ ჩემმა დიდმა შრომამ და თავდადებამ მაგისტრატურის სტუდენტადაც მაქცია. ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წლები იყო.

**- რომელი კონკურსი იყო ისეთი, რომელმაც შენი ცხოვრება შეცვალა?**

- ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოვარჩევ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც იტალიაში ჩატარდა. დიდი წარმატების იმედი არ მქონია, რადგან ძალიან დიდი კონკურენცია იყო და საკმაოდ ძლიერი მომღერლები იყვნენ ჩემი კონკურენტები. ვფიქრობდი, გამოცდილებას მივიღებ და ამის გამო ღირს ცდა-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, საპრიზო ადგილი ავიღე. რა თქმა უნდა, ამაში ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ როგორც მე, ისე ჩემმა პედაგოგმა. ბედნიერები დავბრუნდით სამშობლოში.

**- გეგმებზე რას გვეტყვი?**

- უამრავი გეგმა მაქვს. საოპერო ხელოვნება ჩემი ცხოვრებაა და სცენაზე დგომა უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს, ამასთანავე, ადამიანები, რომლებმაც უამრავი რამ გაიღეს ჩემი წარმატებისთვის, ნამდვილად იმსახურებენ დიდ სცენაზე ჩემს დანახვას.

**- დაუტოვე გზავნილი თანატოლებს...**

- არასდროს დანებდნენ, არასდროს ჩაიქნიონ ხელი. იმ ეტაპამდე რომ მივსულიყავი, სადაც ახლა ვარ, უამრავი რამ გავიღე, ძალიან ბევრჯერ წავიქეცი, თუმცა შევძელი წამოდგომა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიჭირდა, არასდროს დავნებებულვარ. ყოველთვის იბრძოლეთ თქვენი ოცნებების ახდენისთვის. გჯეროდეთ და იშრომეთ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად დაგიფასდებათ.



# ადამიანები „სხვა სამყაროდან“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში ახალგაზრდა მხატვარ გიორგი მჟავანაძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა***

„სხვა სამყარო“, ასე ჰქვია ექსპოზიციას, რომელიც ადამიანების ყოველდღიურ განცდებზე გვიყვება, ოღონდ ეს ადამიანები ილუზორულები არიან, რომლებსაც ისევე უყვართ და განიცდიან, როგორც ჩვენ, თუმცა სხვა სივრცესა და განზომილებაში ცხოვრობენ და გამოხატვის სხვა ფორმები აქვთ. ნამუშევრებში ადამიანები მხოლოდ სილუეტებით არიან წარმოდგენილი. მათ არ აქვთ სახე. როგორც მხატვარმა გვითხრა, სხეულის ენა ყველაზე კარგად წარმოაჩენს ადამიანს, ამიტომ ხშირად მოსმენაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვუცქერდეთ, ვაკვირდებოდეთ და აღვიქვამდეთ ქაოსურ მოძრაობაში მათ სიღრმეებს, სათქმელს. როგორც გიორგიმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მას სურდა, ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღე ხვდებიან, დაენახა და წარმოეჩინა სულ სხვა კუთხით და ეს ყოფილიყო უფრო ზოგადი სახით გამოხატული, ვიდრე კონკრეტული:

- სათაურად „სხვა სამყარო“ სწორედ იმიტომ შევურჩიე გამოფენას, რომ აქ წარმოდგენილი მყავს სხვა, პარალელურ სამყაროში, გალაქტიკაში მცხოვრები ადამიანები. ბავშვობიდან მაინტერესებდა, რა ხდებოდა სხვა პლანეტებზე, ხშირად წარმოვიდგენ, რომ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემს ნახატებშია, სრულებით შესაძლებელია ჩვენთან ერთად, ოღონდ სადმე სხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ და დღემდე არ იცის მეცნიერებამ მათ შესახებ. მათ, ჩემი წარმოდგენით, ჩვენნაირი ემოციები აქვთ, მაგრამ გრავიტაცია - აბსოლუტურად სხვანაირი. ჩემი ნახატები იძლევა შესაძლებლობას, დამთვალიერებლებმა სილუეტებს მისცენ კონკრეტული სახე, წარმოიდგინონ ადამიანები, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობენ და ყოველდღიურად ხედავენ, - გვითხრა მხატვარმა.







გიორგი მჟავანაძე ამბობს, რომ მუსიკა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ხატვის დროს ხშირად არ უსმენს, სურს სიჩუმეში უკეთ მოუსმინოს თავის ემოციას, იფიქროს, რათა ტილოზე გადატანილი სათქმელი თავად ქმნიდეს მუსიკას, ჰარმონიულობას ადამიანებში.

- მომწონს, როცა ჯერ ვფიქრობ და მერე ვიწყებ ხატვას, ჩემი ნამუშევრები ფიქრის შედეგია. როცა ვხედავ ადამიანებს, ბევრს ვფიქრობ მათზე, ვცდილობ, მათში არსებულ მეორე და მესამე, ან იქნებ მრავალ ადამიანს ჩავწვდე და დავინახო. მუდმივად ძიების პროცესში ვარ, ვფიქრობ, ისევ დავუბრუნდე ფოტოგრაფიას, რომელშიც, რაღაც პერიოდია, ტაიმაუტი მაქვს აღებული. ადამიანის და, მით უფრო, ხელოვანის ცხოვრებაში ყოველთვის ჩნდება შესაძლებლობა, საკუთარი ნაფიქრალი, ემოციები იმდენად ამოიტანოს ზედაპირზე, რომ გარშემო მყოფებმა ადვილად შეძლონ მათი მიღება, გააზრება და შეფასება, - აღნიშნა მხატვარმა, არქიტექტორმა და ფოტოგრაფმა გიორგი მჟავანაძემ, რომელიც შემდგომ გამოფენას დედაქალაქში აპირებს, თუმცა ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ამაზე არ გაჩერდება.

# „მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ მატჩის გმირი იყო“



ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ლივერპულის“ წინააღმდეგ ხვიჩა კვარაცხელიას თამაშს ცნობილი იტალიური სააგენტო CalcioNapoli24 ეხმაურება, რომელიც ქართველი ფეხბურთელის მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებს:

„აძურებმა“ „წითლები“ მარადონას სტადიონზე 4:1 გაანადგურეს. გოლები ზიელინსკიმ, ანგისამ და სიმეონემ გაიტანეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხვიჩა კვარაცხელიას თამაში. იმის მიუხედავად, რომ გოლი არ გაუტანია, ქართველი თავდამსხმელი ამ ბრწყინვალე მატჩის მთავარი გმირი იყო ხმაურიანი თამაშით, შთამბეჭდავი დრიბლინგებით და ბევრი ხარისხიანი მოქმედებით... ერთ-ერთ ეპიზოდში კვარაცხელიამ „ლივერპულის“ ნახევარმცველები გააგიჟა, შეასრულა შესანიშნავი დრიბლინგი და რამდენიმე ფეხბურთელის გარემოცვაში ბურთი მარტომ ატარა“.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულთან“ მოგებულ მატჩში ხვიჩა კვარაცხელიამ საგოლე გადაცემა შეასრულა - 44-ე წუთზე ჯოვანი სიმეონეს გაატანინა, რის შემდეგაც ანგარიში 3:0 გახდა, მანამდე, ირიბად, ორ გოლშიც მონაწილეობდა.

# უცხოელი ქომაგები – ხვიჩას თამაშზე

ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო შეხვედრაში ხვიჩა კვარაცხელიას ბრწყინვალე თამაშს პრესასა და სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.




აი, უცხოელი გულშემატკივრების რამდენიმე საინტერესო კომენტარი:

„ლივერპულის“ მთელ შემტევ ხაზზე უკეთესია“; „მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეროვნულ ლიგაში თამაშობს თუ ჩემპიონთა ლიგაზე, ის, უბრალოდ, განაგრძობს კვარადონას თვისებების გამოვლენას“; „სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელი, როგორც რაფა ბენიტესმა თქვა“; „ახალი ქინქლაძე“; „მას შეუძლია „ლივერპულის“ მომდევნო მანე გახდეს“; „ის ასევე საოცარი იყო გასულ წელს შვედეთის წინააღმდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში“; „ხვიჩა კვარაცხელია ნეაპოლში უკვე საკულტო გმირია. ის „ნაპოლი“-„ლივერპულის“ მატჩის ბრილიანტი იყო“; „ხვიჩა კვარაცხელია არის „ფერარი“ „პანდას“ ფასად“, „ხვიჩა კვარაცხელია, ქართველი ფენომენი, რომელმაც ფანტასტიკური ფეხბურთით ნეაპოლი ჭკუიდან გადაიყვანა“; „ტრენტ, ამოხვედი ხვიჩა კვარაცხელიას ჯიბიდან?“.

# ხვიჩა კვარაცხელია სერია A-ს აგვისტოს თვის საუკეთესო ფეხბურთელია!

კვარაცხელიამ წინა თვეში 4 შეხვედრაში 3 გოლის გატანა შეძლო, 2 - „მონცას“ წინააღმდეგ, ერთიც - „ვერონას“ კარში.

საქართველოს ნაკრების გარემარბმა „რომას“ შემტევ პაულო დიბალას, „ატალანტას“ ნახევარმცველ ტეუნ კუპმეინერსს, „ინტერის“ ფორვარდ ლაუტარო მარტინესსა და „იუვენტუსის“ სერბ თავდამსხმელ დუშან ვლაჰოვიჩს აჯობა.

***შეგახსენებთ: ხვიჩას „ნაპოლი“ მორიგ შეხვედრას დღეს „სპეციას“ წინააღმდეგ გამართავს.***

ამირან ბურჭულაძე